რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 29 დეკემბერი 1917 წ.

ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი აღრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 65 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 65

მიილეგა ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკასიური რაბოჩი" და „ბანვნოური პრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი.

რეზოლიუცია

მიმდინარე მომენტზე, რომელიც მი. „დო კავკასიის არმიის მეორე სიეზდმა.

მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე კავკასიის არმიის მეორე სიეზდის დელეგატთა მემარცხენე ესერების ფრ ქციამ წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია:

1) რუსეთის დიდი რევოლიუციის 9 თვის გამოცდილებამ თვალსაჩინოთ დაგვანახვა, რომ მთავრობაში კაპიტალის წარმომადგენლების შეყვანა ნიშნავს თავის ბანაკში მტრის შემოყვანას, რომელიც პირველ შემთხვევისთანავე შეუტევდება რევოლიუციური დემოკრატიის ფრონტი გაარღვიოს.

გარდამავალი ხანა, ვიდრე რევოლიუციონური დამფუძნებელი კრება არ განამტკიცებს და არ დაამყარებს მშრომელი ხალხის სასარგებლოთ ცხოვრებაში ყველა რევოლიუციონურ მონაპოვარს (პოლიტიკურს და სოციალისტურს), მოითხოვს იმ კლასის დიქტატურას, რომელსაც უნდა გამიმარჯვოს გლეხებისა და მუშების უფლებისთვის ბრძოლაში.

2) ამიტომ ჩვენ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის აუცილებელ საბრალებათ ვცნობთ მთელი ჩვენი ძალლისით ენერგიულათ მხარი დაუჭიროთ სახალხო კომისარების საბჭოს (მუშათა და გლეხთა მთავრობას), რომელიც გამოყო თავის წრიდან სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა მეორე სიეზდმა და დაამტკიცა გლეხთა დეპუტატების საგანგებო ყრილობამ; მხარს ვუჭერთ მას ენერგიულ ბრძოლაში წინააღმდეგ კონტრრევოლიუციისა, რომელიც მოდის დონის და ურალის მხრიდან ყაზახთა გენერლების, კალედინებისა და დუტოვების წინამძღოლობით, რომლებმაც მშრომელი ყაზახობა დაატყუილეს; ხმარს ვუჭერთ,—რომ ცხოვრებაში გატარებულ იქნან დეკრეტები მიწაზე, ზავზე, მუშათა კანტროლზე, მუშების სოციალურ დაზღვევაზე, 8 საათის სამუშაო დღეზე, ბანკების ნაციონალიზაციაზე (გასაზოგადოებრივობაზე) ქალაქის უძრავ ქონების სოციალიზაციაზე (გასაზოგადოებრივობაზე), საზღვარ გარეთის სესხის სარგებლის გადახდის უარყოფაზე, ჯარის დემოკრატიზაციაზე, სასამართლოს რეორგანიზაციაზე, იმ ოჯახების სრულიათ უზრუნველყოფაზე, რომლებიც სისხლის მსმელ ომის მეთხებით უმწეოთ დარჩენ, ქონების პატრონებზე უმოწყალო გადასახადების გაწერაზე და ერების თვითგამორვევაზე.

3) ყოველივე ცდა კონტრ-რევოლიუციონური კლასების მხრით საბჭოთა მთავრობისა და მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წინააღმდეგ მიმართული უმოწყალოთ ჩახშობილ უნდა იქნას.

ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყველა ის, ვაც მტრებმა მუშათა და გლეხთა მთავრობას მოუგონეს, ვითომ მან მტერროსის მთელი სისტემა შექმნა ვითომ ის გენერალიტეტის ხმარებაში შეიმოღებას აპირებს და სხვა ასეთები, ზიზღით უკუგდებულია ჩვენ მაერ, როგორც ისეთი საშალება, რომელიც ჩვენი ტრების სულს და გულს შეიადგენს, მარა მიუკარებელია საბჭოთა მთავრობისათვის.

4) ზიზღით უკუვაგდებთ და უარყოფთ რა ყველა იმ ცილის წამებას, ინსინუაციებს და ბინძურ ჭორებს, რასაც ისე უხვათ თხზავენ და ავრცელებენ ბურჟუაზიის მცველნი მისნი დამქაშნი საბჭოთა მთავრობის შესახებ, ჩვენ მოუწოდებთ ყველა იმათ, ვინც თავს სოციალისტათ და დემოკრატათ თვლის, რომ შეწყვეტოს ლანძღვა და კიცხვა-გმობა ხალხის მიერ არჩეულ ორგანოებისა და შეუდგეს ხალხის სამსახურს მთელი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, რაც მას ამ რევოლიუციის ხანაში შეუძენია.

5) ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ დამფუძნებელი კრება მაშინვე გიხსნას როგორც კი ხალხის მიერ არჩეულთა საკმაო რიცხვი შეიკრიბება, ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ, რომ დამფუძნებელ კრებას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუშვებთ მხარს, თუ იგი პირველი დღეებიდ ხვე შეუდგება მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოებს სოციალურ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას და არა ძალა-უფლებისათვის ბრძოლას.

6) იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი კრება მშრომელი ხალხის ნება-სურვილს, რომელსაც სრულიათ რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოები გამოხატავენ, წინააღმდეგობას გაუწევს, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია გვერდი აუხვიოთ მას და მებრძოლ რევოლიუციონურ ორგანოებს—მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს—საშუალებით უმისოთ განვახორციელოთ მთელი ის პროგრამა, რაიცა აუცილებელია რუსეთის ცხოვრების გარდაქმნისათვის ახალ სოციალურ საფუძველზე.

———

ადგილობრივ მთავრობის შედგენის საკითხში ჩვენ, მემარცხენე ესერები—კავკასიის ცხოვრების „განსაკუთრებულ პირობებისა გამო, სადაც მრავალ წვრილ ერთა ინტერესები ერთი მეორეშია ჩაქსოვილი, ხაზ გასმით აღვნიშნავთ საბჭოთა მთავრობის საჭიროებას და ვცნობთ მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც გამოსულია მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების წრიდან, სადაც კავკასიის ყველა ერებია წარმოდგენილი, როგორც მშრომელი ხალხის ელემენტები და მხოლოდ რომელთაც ძალუძთ თავიდან აიცილონ ის გრანდიოზული ცეცხლი, რომელიც შეიძლება აინთოს კავკასიის ერთ-ერთი რომელიმე ერის ნაციონალურ-ტერიტორიალურ მისწრაფების ნიადაგზე.

კვალ და კვალ

„მარცხენა ხელშა არ იცის"...

„ერთობა" სწერს: „ბალშევიკების ავანტიურამ უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო: მათი ზავის პოლიტიკა „დაქანცული სალდათების შინ გაქცევის პოლიტიკათ გადაქცა". ეს სერიოზული ბრალდებაა, რომელსაც წარამარა იმეორებენ ყოველ ჯურის ობორონცები, მარა მაგარი ის არის, რომ იგი (ბრალდება) მტკნარი და უტიფარი ცილისწამებაა, რასაც მიზნათ აქვს სახელგაუტეხოს სახალხო მთავრობას ბულშევიკური მკითხველის თვალში, მართალ-ბრალყვილი მკითხველის თვალში, ვინ არ იცის, რომ ბალშევიკები ლაც, ვინ არ იცის, რომ ბალშევიკები თავიდანვე (თებერვალ-მარტიდან) იცავენ ლოზუნგს: ზავზე მოლაპარაკება და ფრონტის გამაგრება. ამ გზას ადგენ ბალშევიკები, რაცა ოპოზიციაში იყენენ ობორონ(ულ-კოალიციურ მთავრობასთან. ამავე გზას ადგიან ეხლაც, როცა მთავრობის სათავეში მოექცენ. ამა „ერთობამ" ერთი პატარა დოკუმენტი მაინც მოიყვანოს იმის დასამტკიცებლათ, რომ ბალშევიკებმა ოდნავ მაინც გადაუხვიეს ამ გზას. ვერ მოიყვანს, ვინაიდან ასეთი არ არსებობს. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში გაბოროტებულმა „ერთობამ", რომელსაც საშინლათ სწყენია რამე ავნოს სახალხო მთავრობას". მას დარჩენია ერთად ერთი შეჩვეული გზა: ცილის წამება, ტყუილი, დემაგოგია.

მარა ჩვენ აქ გვაინტერესებს საქმის მეორე მხარე „ერთობის" ამავე ნომერში (222) მოწონავეთ მოთავსებულია მოწოდება „ქართველ მხედრობას", რომელსაც ხელს აწერენ: ნ. ჯორდანია და ნ. რამიშვილი, ე. ი. ჩვენებური ობორონცების მეთაურნი. ამ მოწოდებაში ერთი ფრიად საყურადღებო ადგილია: „საქართველოს ეროვნული საბჭო (რომელსაც სათავეში უდგიან ჯორდანია, რამიშვილი, ჩხენკელი და კომპ.) და მასთან არსებული სამხედრო საქმეთა კომისარი (ნ. რამიმვილის მეთაურობით) მოუწოდებს ყველა ქართველ მხედარს —ჯარის კაცსა და აფიცრებს, გამოეშურონ საქართველოსაკენ, როგორც კავკასიისა, ისე რუსეთის დასავლეთ ფრონტიდან და აქ ჩაეწერონ ქართულ პოლკებში".

ამ ამონაწერიდან ცხადათ ჩანს, რომ მენშევიკები, გამსჭვალულნი წმინდა წყლის ნაციონალიზმით, აკტიურათ, ოფიციალურათ, კოლეკტიურათ ხელს უწყობენ ჩვენი ფრონტების გაშიშვლებას. სამარცხვინო საქმეს ჩადიან თვითონ და ბალშევიკებს კი უკიჟინებენ! თვითონ ავანტიურისტობენ და სხვებ

უკიჟინებენ, რომ თავის ავანტიურა დაფარონ! მენშევიკების ეს საქციელი მოგვაგონებს იმ ᲭᲣᲠᲓᲘᲡ ამბავს, რომელმაც ნიკი მოიპარა და თვითონვე დაიწყო ყვირილი: არიქა დაიჭირეთ ᲭᲣᲠᲓᲘᲡ.

ᲜᲣ ᲗᲣ „ერთობამ“ არ იცის, რას აკეთებს მენშევიკური-ეროვნული საბᲭᲝ? თუ იცის, რატომ ამათრახებს ამ მოწოდების ავტორთ? შეიძლება ეს საᲭᲐᲮᲘ საქმე იმის ნაყოფია, რომ მენშევიკების „მარცხენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარᲯᲕᲔᲜᲐ“. თუ ეს ასეა, მით უკეთესი: უფრო ადრე გამოაშკარავდება „ერთობის“ სიყალბე ფართო მასის თვალში

არ შეგვიძლია არ მიუთითოთ კიდევ ერთ სასაცილო წინააღმდეგობაზე, რომელშიაც ვარდება საწყალი ავტორი ხსენებულ მოწინავე წერილის. იგი სწერს: „აღდგენა და გაძლიერება მუშათა საერთაშორისო ურთიერთობის, შეთანხმება და საერთო გეგმის შემუშავება მთელი ევროპის მუშებთან,—აი რა უნდა მოითხოვოს რუსეთის მუშათა კლასმა დღევანდელ რუსეთის მესვეურთაგან, რომელნიც სმოლნში ბატონობენ“.

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ: „ერთობის“ ეს ზავის პლანი არ ახალია, ძველია. იგი მხოლოთ ნაწილია იმ პროგრამა-ზავის, რომელსაც ატარებს ხალხური მთავრობა. ტყვილა ფიქრობს „ერთობა“ ძველი ამბავის ახლათ, ორიგინალურათ გასაღებას. ამით „ერთობა“ ცდილობს: მკითხველს თავი მოაჩვენოს ნამდვილ ინტერნაციონალისტათ, მარა ტყვილი იმედია: ჩვენებურ მენშევიკების საქმენი ღაღადებენ, რომ ისინი სრულიათ გაითქვიფენ ქართულ ნაციონალიზმში.

მეორე: ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკები თავიდანვე არ სცნობენ ოქტომბრის მთავრობას, ბოიკოტს უცხადებენ და აკტიურათაც ებრძვიან მას; ესერ-ობორონცებთან ერთათ ხელს უწყობენ კონტრრევოლიუციის გამაგრებას ჩრდილო კავკასიაში. ესენი ყოველ საშვალებას ხმარობენ, რომ ამ მთავრობას, როგორც მთავრობას ბალშევიკთა, შეთქმულთა“ რომელსაც (მათი აზრით) არ სცნობს რუსეთის უმეტესობა, სახელი გაუტეხონ ხალხის თვალში. „ერთობას“ რამდენი მელანი და ქაღალდი დაუხარᲯᲐᲕᲡ ამ მთავრობის გასაქიქებლათ, ვინ მოსთვლის. და ამავე დროს იგივე „ერთობა“ ურჩევს რუსეთის მუშათა კლასს (ალბათ ქართველ მუშებსაც), რომ მან მოითხოვნილება (ზავის შესახებ) წაუყენოს სახალხო კომისარების საბᲭᲝს. ეს კი ნიშნავს სახალხო მთავრობის ცნობას „ერთობის მიერ. მოგვილოცნია! ეს ჩვენთვის ახალი ამბავია. ეს სასიამოვნოა, მარა ვეეჭვოთ, რომ ჩვენი სიხარული ხანგრძლივი გამოდგეს, ვინაიდან „ერთობა“ და მენშევიკები ერთობ რუსეის ხალხია, რომელიც დღეში ასᲯᲔᲠ შეიცვლება მარტივით...

„ᲨᲔᲒᲣᲗᲡᲐ ᲒᲕᲔᲐᲜ, ᲔᲝᲓᲠᲣ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲔᲡ“.

„ერთობა“ სისტემატიურათ, გამუდმებით, ყოველ ნომერში გაიძახოდა და ეხლაც გაიძახის, რომ ბალშევიკურმა თავრობამ ხალხს არაფერი არ მისცა

რებების და ცარიელი დეკრეტების შეტი. თუმცა ეს მტკნარი სიცრუეა (ვინაიდან ოქტომბრის მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა ხალხის სასარგებლოთ მხოლოთ ორი თვის განმავლობაში), მარა „ერთობას“ არ შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო, ვინაიდან მან მიზ[illegible] ᲐᲛᲘᲗᲘ მთავრობის ხალხის

თვალში გაბათილება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ობორონცებს არ შეეძლოთ შერიგებოდენ ინტერნაციონალისტურ მთავრობას, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა კონტრრევოლიუციონურ-იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. „ერთობა“ ამდენხანს პირნათლათ ასრულებდა ამ მისიას.

ზემოთ დასახელებულ ნომერში კი (222) „ერთობამ“ აშკარათ უღალატა თავის თავს, როცა იმავე მოწინავეში დასწერა შემდეგი: „ლენინ-ტროცკის მთავრობამ სახელმწიფოს სათავეში მოქცეისთანავე ერთი დადებითი მუშაობა შეასრულა: საიდუმლო ხელშეკრულობები გამოაქვეყნა. ამით იმპერიალისტების ბნელი საქმეები და განზრახვანი საქვეყნოთ გამოაშკარავა. ხალხს საშვალება მიეცა დაენახა, როგორ ვაᲭᲠᲝᲑᲓᲔᲜ მისი სისხლით, როგორ ყიდდენ ყიდულობდენ მას დიპლომატთა კაბინეტებში“.

რაც მართალია, მართალია: სახალხო მთავრობამ საᲯᲐᲡᲔᲑᲘთ დაიმსახურა ეს ხოტბა-შესხმა, მარა ჩვენ გვაკვირვებს, როგორ მოუვიდა ეს მარცხი „ერთობას“, რომელსაც ასე თავალწუნებული ყავდა და ყავს „ბალშევიკური“ მთავრობა! გრძნობს იგი თუ არა, რომ ბალშევიკურ-მთავრობის ამ დადებითი ნაბიᲯᲘს შექებით სამარცხვინო ბოძზე აკრავს წერეთელ-ჩერნოვ-კერენსკის ნეტარხსენებულ მთავრობას, რომელმაც იმდენი ხნის განმავლობაში ვერ შესძლო ასეთი საქმის გაკეთება? ასეა თუ ისე, ჩვენ კმაყოფილი ვართ „ერთობის“ ამ საქციელით, მარა აქაც ვშიშობთ, რომ ხვალ „ერთობა“ რიხიანათ უარყოფს იმას, რასაც დღეს აღიარებს.

P. s. ჩვენი მოლოდინი მალე გამართლდა: „ერთობის“ შემდეგ ნომერში (223) სარედაქᲪᲘᲝ წერილში სწერია: „ბალშევიკურმა სახალხო კომისართა საბᲭᲝმ, ვერ განახორციელა ვერც ერთი სოციალური რეფორმა, ვერ გადალდგა ვერც ერთი ხალხისთვის სარგებლობის მომტანი ნაბიᲯᲘ“. დღევანდელმა „ერთობამ“ არ იცის, რას ამბობდა იგი გუშინ!

რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გაისმის ხმა მოთხოვნისა რუსეთი თავისუფალ ფედერატიულ რესპუბლიკათ გამოცხადდეს.

ეს საკითხი თითქო წინასწარ გადაᲭᲠილათ უნდა ჩაითვალოს: დამფუძნებელი კრების დიდი უმრავლესობა, როგორც ეტყობა, კითხვას ასე გადაᲭᲠის მსურველი იქნება.

ფედერატიული—ეს ნიშნავს ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, დამოუკიდებელ ხალხთა და ოლქთა ურთიერთშორის თავისუფალ შეთანხმებაზე არის დამყარებული. ერთი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა შედგება თავისუფლათ შეერთებულ მთელ რიგ დამოუკიდებელ განცალკევებულ სახელმწიფოთაგან, რომელთაც უნდათ შეერთებულთა აწარმოონ საგარეო პოლიტიკა, მაგ. ზავის ჩამოგდება, სადამონო პოლიტიკა და სხვა დარგები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, რომლებიც კი თავისუფალი შეთანხმებით აღიარებულია, რომ ცენტრალისტურათ მოეწყოს. სხვა ყოველნაირი საქმეები სახელმწიფოისა ცალ-ცალკე იქნება წარმოებული რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის თვითეული შემადგენელი სახელმწიფოის საკუთარი ძალ-ღონით ერთი მეორისგან სრულიათ დამოუკიდებლათ და ადგილობრივ პირობა--გარემოებათა და არსებულ ურთიერთობათა თანახმათ.

ამგვანათ უკვე გამორკვეულია, თუ რა და რა შემადგენელ სახელმწიფოებისგან იქნება შემდგარი ჩვენი რესპუბლიკა. ᲧᲕᲔᲚᲐ ავტონომიები გამოცხადებულია, რომელთა საზღვრები საერთოთ განსაზღვრულიც არის და ადგილობრივ მცხოვრებთაგანაც აღიარებული. ზოგი გამოურკვეველი რამ, მაგალ. თანახმა ᲗᲣ არა ეკატერინოსლავის გუბერნია უკრაინის საზღვრებში დარჩეს, დღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში საყოველთაო თანასწორი ხმის მიცემით ირკვევა (კერძოთ, მაგალ. იმავე ეკატერინოსლავის გუბერნიაში გამოირკვა, რომ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა უკრაინის მომხრეა). ასეთი შემადგენელი ნაწილი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისა ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘთ ხუთამდე გამოისახა. 1) უკრაინა—შეიცავს მიᲯᲠᲘთ დასახლებულ ტერიტორიას 37 მილიონი მცხოვრებით (სულ 9 გუბერნია და სამი გუბერნიის ზოგი მახლობელი ნაწილები). 2) სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი, რვა გუბერნია 15 მილიონი მცხოვრებით (ამ რაიონში სᲬᲐᲠᲑᲝᲑᲘᲗ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲑᲘ, სადაც გამაგრება შეიძლება მხოლოთ ამ რაიონის მართვა-გამგეობის სრული დემოკრატიზაციით). ქვევით—3) ამიერ კავკასია, სადაც 7 მილიონამდე მცხოვრებია, მერე ციმბირი (18 მილიონი მცხოვრები) და თურქესტანი (6 მილიონი) დანარჩენი 84 მილიონი მცხოᲠᲘᲠᲔᲑᲘ ითვლება ევროპის რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში. (მცხოვრებთა რაოდენობის ციფრები აღებულია დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის 1917 წლის წყაროებიდან; მითვლილია აქ ᲯᲐᲠᲨᲘ გაწვეულებიც.) ეს ჩრდილო-რუსული მხარე შეიცავს: პეტროგრადის. მოსკოვის, ბალტიის მხრის ბელორუსიის, ურალის, ვოლგის ნაპირების და შუაგულ მიწათმომქმედ მხრის რაიონებს. ეს ის ქვეყანაა, სადაც დღეს საბᲭᲝთა მთავრობა შედარებით სხვა ნაწილებთან ყველაზე უფრო ფეხმოდგმული და გამაგრებულია. (ამიერ კავკასიᲬᲘ საკუთარი ცენტრი განაგებს, რომელიც საბᲭᲝებისგან არის დარსებული—თუმცა მენშევიკური მმართველების საბᲭᲝებისგან.) თურქესტანს ადგილობრივ საბᲭᲝთა ცენტრი მმართავს: უკრაინას—ცენტრალური რადა, რომელიც კოალიციონური ხასიათისაა; (ახლა კი საბᲭᲝთა რადა, რომელიც სახალხო კომისარების საბᲭᲝს ძალაუფლებას ცნობს. მთარგ.) ციმბირში დაარსდა ავტონომიური კოალიციური ხასიათის დემოკრატიული თავრობა. სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს განაგებს ყაზახთა თავრობა. ადგილობრივ არა ყაზახთა მცხოვრებლის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

რომ საᲭᲘᲠო გახდეს ზავის ჩამოსაგდებათ მაგალითათ და ფედერატიული რესპუბლიკის საერთო საქმეების შეერთებულ დამოკიდებულ ნაწილების საერთო ძალღონით წასაᲬᲘᲜᲐთ ფედერატიული თავრობის შედგენა, მისი შედგენილობა განსაზღვრული იქნებოდა პროპორციონალურათ იმ ავტონომიების მცხოვრებთა რაოდენობასთან, რომლებიც შედიან რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში.

თვითეული 7 მილიონ მცხოვრებზე რომ თითო წარმომადგენელი დანიშნოს, რესპუბლიკის ფედერატიულ თავრობაში სულ 24 კაცი შეეიდოდა ამათში 12 ს აირჩევდენ დამფუძნებელი კრების წევრნი ჩრდილოეთ რუსეთის მხრიდან (84 მილიონი), 5-ს უკრაინა (37 მილიონი). ორს—სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი, სამს—ციმბირი და თითოს ამიერ-კავკასია და თურქესტანი. შეიძლება ეს მართლაც პრაქტიკული ყოფილიყო ამნაირათ შემდგარი საერთო თავრობა ახლათ შექმნილ ფედერატიულ რესპუბლიკისათვის.

წინანდელი „რუსეთის იმპერია“ ჩვენ თვალწინ თანდათან ხდება „შეერთებული შტატები“ ევროპისა და აზიისა ყოველ შემთხვევაში ამ მატერიკების უდიდესი ნაწილებისგან შემდგარი. თავისუფალ ფედერატიულ წყობილებაზე აგებულ „შეერთებულ შტატებში“ ადგილათ შესაძლებელია, მალე მოისურვებდენ შემოსვლას მეზობელი პატარა სახელმწიფოები, როგორებიც არიან ფინლიანდია, რუმინია, და სპარსეთი. მიმზიდველი ძალა ამ ახალი სახელმწიფოსი იმდენათ დიდი იქნება, რამდენათაც თავისუფალი წყობილება განმტკიცდება შიგნით და დაგმობილ-უარყოფილი იქნება აზრი, რომ შესაძლებელია ძალადატანება შემადგენელ დამოუკიდებელ ნაწილებისა ერთი მეორეზე, მაგალითათ ჩრდილოეთ-რუსეთისა უკრაინაზე.

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲠᲘᲜᲘ.

დელეგატთა განცხადება.

19 დეკემბერს თბილისში გაიხსნა კავკასიის მუშათა დეპუტატების საბᲭᲝთა საერთო სიᲬᲘდი, რომელზედაც ჩრდილო-კავკასიის და ბაᲭᲘᲡ მუშათა დელეგატებიც გამოცხადდენ, რომლებმაც სიᲬᲘდს შემდეგი განცხადება წარუდგინეს: „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, დელეგატები კავკასიის მხრის მუშათა სიᲬᲘდისა—ეკატერინოდარიდან, ნოვოროსიისკიდან, სოᲭᲘდან, ტუაპსედან, ვლადიკავკაზიდან, არმავირიდან, მაიკოპიდან, სოხუმიდან. პეტროვსკის ნავთსადგურიდან, გროზნოდან, კეტაბახის ქარხნიდან (განᲯის გუბერნიაშია) მიუსერის (სოხუმის ოლქში) ქარხნიდან, ტიხორეᲪკიდან და ბაᲭᲘᲓᲐᲜ ვაცხადებთ, რომ კავკასიის მხრის ძველი ცენტრის მიერ დაწესებული წარმომადგენლობის ნორმა—ერთი დელეგატი 500 კაცზე—სხვას არას მოასწავებს, თუ არა მარტო თბილისის და მის ახლო მახლო მდებარე ადგილების საბᲭᲝთა მაიორიტაციას, რომლის საშუალებით ჩაᲬᲘᲠᲑᲘᲚ იქნება სიᲬᲘდზე ყველა იმ ადგილების საბᲭᲝთა ხმა, რომლებიც განსაკუთრებით სიშორისა და აგრეთვე სიმრავლისა გამო ვერ შეეძლებენ იყოლიონ სიᲬᲘდზე სათანადო რიცხვი წარმომადგენლებისა.

პირველათ ბევრი საბᲭᲝს მხრით ყველა თავისი დელეგატების სიᲬᲘდზე გამოგზავნა იწვევს მეტათ დიდ ხარᲯს, მაგალითა. ბაᲭᲘს საბᲭᲝს ყველა თავისი დელეგატების სახარᲯოთ 24,000. მანამდე დასჭირდებოდა, რაც დღევანდელ ფინანსიური კრიზისის დროს სრულიათ მოუხერხებელი იყო; ამიტომ ეს გარემოება ბევრ საბᲭᲝს იძულებულს ხდიდა თავისი დელეგატების რიცხვი ძალზე შეემცირებია. მეორეთ, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, დაწესებულ ნორმას შედეგათ ის მისდევს, რომ ყველა გავლენიანი საბᲭᲝები პერსონალურათ სუსტდებიან, რადგან ისინი იძულებული ხდებიან თავისი საუკეთესო ძალების თითქმის საქმეს სულ მოსწყვეტონ ადგილსრიგათ და სიᲬᲘდზე გაგზავნონ და ამნაირათ 10—15 დღეს განმავლობაში საბᲭᲝს ადგილობრივათ მუშაობა სულ-

ერთიანათ შეაჩერონ. და რადგან ამ მეცნიერებით საქმე მეტათ სუსტათ არის, გამოვიდა ისე, რომ წარმომადგენლობის ნორმა ზემოთ დასახელებულ ადგილებისათვის დაწესებულზე მეტათ ნაკლები და შეუსაბამო შეიქნა. მაგალ. ნოვოროსისკისათვის 1 დელეგატი მოდის 2600 კაცზე, ეკატერინოდარისათვის 1 დელ. 1100 კაცზე, ბაქოსთვის—1:2000 ზე და სხვ. ამას გარდა გამოირკვა, რომ ზოგი საბჭოსთვის სიეზდის ვადა სულ არ შეუტყობინებიათ, ან ისე გვიან შეატყობინეს, რომ დეპუტატებს არ შეეძლოთ დროზე შეკრებილიყვნენ და დელეგატი აერჩიათ, ან კიდევ თუ აირჩევდენ, დელეგატს შეეძლო სიეზდის მხოლოთ დასასრულისთვის მიესწრო ანდა გათავების შემდეგ ჩამოსულიყო თბილისში.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სიეზდზე და განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიის საბჭოთა წარმომადგენლების სიმცირეს და დაუსწრებლობას სიეზდის ფიზიონომია არ შეეცვალა, შეუფერებელი არ გაეხადა, მით უფრო, რომ მათი პოლიტიკური ხაზი სრულიათ განსხვავდება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხაზისაგან.

ყველა ამ ეების შედ ი ის იყო, რომ კავკასიის მხრის L]ოთა ძალების რეალური საურთ- ?თო განწყობილება სრულიათ დამანხ ნ ჯდა: ფრთა შეეკვეცა და გავლენა დაეკარგა ყველა მსხვილ და ძლიერ საბჭოებს თბილისისადა ახლო მდებარე ადგილების საბჭოთა სასარგებლოთ, რომელთაც მთელი საშუალება ჰქონდათ, რომ მთელი თავისი შედგენილობით დაწესებული ნორმის თანახმათ მონაწილეობა მიეღოთ სიეზდში. ამნაირათ, მაგალითათ ბაქოდან. სადაც 80,000 მუშათა წარმომადგენლები იკრიბებიან, მოვიდა 160 კაციდან მხოლოთ 40, ნოვოროსიისკიდან 5 კაცი 26 დან, მაშინ როდესაც თბილისიდან, სადაც მხოლოთ 25,000 მუშა ითვლება, დასწრო სიეზდს 70 დელეგატი.

ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში და ამასთან ერთათ იმასაც, რომ ამანაგებმა, ბაქოელებმა თვისი საბჭოსგან მიიღეს მანდატი, რომ მის წარმომადგენლებს მიეცეთ სიეზდზე 4 გადამწყვეტი ხმა ან და ყველა საბჭოების წარმომადგენლობის ნორმა შეცვლილ იქნეს ისე, რომ 1 დელეგატი მოდიოდეს 2000 კაცზე. ჩვენ ორხელ მივეცით სიეზდს წინადადება, რომ წარმომადგენლობა გმეთანასწორება ამა თუ იმ გზით, მაგრამ ჩვენი წინადადება ორივე ხელ უკუგდებულ იქნა.

ამის გამო ჩვენ ვტოვებთ სიეზდს ისე, რომ სრულიათ არ ვიღებთ მის მუშაობაში არავითარ მონაწილეობას და ვაცხადებთ, რომ საბჭოთა სიეზდი ღიათ რჩება მანამ, ვიდრე-არა უგვიანეს 1918 წ. 1 თებერვლისა, ჩვენი წრიდან დროებით გამოყოფილი ცენტრი არ მოიწვევს მუშათა სიეზდს, რომელიც ძალთა რეალურ საურთაერთო განწყობილების გამომცხადებელ წარმომადგენლობის ნორმის თანახმათ იქნება შემდგარი.

ხელს აწერს 72 დელეგატი.

„ბრძოლას“.

აღაფლაქდი! აქათქათდი! ჩემო სულის ია, ვარდო,
მსურს შენს ფრთებზე „ბრძოლი“.ს ერთებზე ფრთა გავშალო, ვინავარდო!
მსურს შენს ხმათა ჰარმონიას ჩემმა სულმაც აჰყვეს ფრენით,
დე ე გრძნობამ ფრთა ასწიოს, იგრძნოს ტრფობა ყმათა დენით!
ფარად სიტყვებს მოაფრქვევ და ახალ ლოზუნგს სადღეისოს...
ღეე, შენება უტყუარი ყველამ იგრძნოს, შეითვისოს!
დღეს ვიხილე მთის არწივი შენს კალთაზე ფრთებს სწურავდა,
ბედის ნავით ზღვის ცელქ ტალღებს მოაპობდა, მოსცურავდა
და ოცნების შორი მხარეს უგალობდა ცის ასული,—
ტახტს იდგამდა საამქვეყნოთ: სიცოცხლე და სიყვარული!“
და ვისმენდი მოწიწებით ციურ არსთა საგალობელს,
მელოდიურ ჰანგთ თამაში ამოძრავებს წუთი სოფელს!
სისოცხლეა, –როს გულს წვდება ავანგარდთა ხმა გმირული,—
აქ ცხენწყლის ტალღა ცეკვავს, მაქ ტახტს იდგომს სიყვარული!
აღაფლაქდი! აქათქათდი! ჩემო სულის ია, ვარდო,
მსურს ოცნებით შორს გავფრინდე, ვიცელქო და ვინავარდო!!

იპ. ხონელი.

ზარი რეკს, ზარი!

გესმით?! გუგუნებს, ზარი რეკს, ზარი!
სმენათ ქცეულა ველი, მთა-ბარი!
ქვეყანას აცნობს ბრწყინვალე ამბებს,
მტირალთ ცრემლს უშრობს, ტანჯულთ ახარებს!
ღამის წყვდიად ქვეშ მყოფ შრომის მხარეს
სადღესასწაულოთ ამზად-აჩქარებს!
გესმით!? ზარი რეკს, ზარი გუგუნებს!
მკვდარსაც ყურს წვდება და სულს უბრუნებს!
იცით რა მოხდა და რათ რეკს ზარი?
უნდა ამოშრეს სისხლისა ღვარი!
ძმა ძმასა უნდა გადაეხვიოს,-
ერთათ გააღონ სამოთხის კარი!
ზარი რეკს, ზარი—ქვეყანას აცნობს,
რომ მზე ძმობისა წყვდიადსა აჭრობს,
ზამთრის მაგიერ გაზაფხულსა შობს
და ბოროტებას სხივს გულში ასობს.

სანდრო გურული.

რუსეთის მუშებს, მუშა ქალებს, გლეხებს, ჯარისკაცებს და ყველა მშრომელთ.

ამხანაგებო! ორმოცდა ორი თვე იღვრებოდა სისხლი ხალხთა, დახოცილთა გვამების მთებით მოეფინა ბრძოლის ველნი. გულის შემზარავათ დასახჩრებული და დასაპყრებული ადამიანი მილიონობით გაჩნდა საავთომყოფოებში, ქალაქათ და სოფლათ მთელ ევროპასა და რუსეთში.

დამშევა მასის. ამოწყვეტა ხალხის, ეკონომიური ცხოვრების აწეწ-დაწეწა და გათახსირება თავზარდამცემ სისწრაფით ერეკება ხალხს საბოლოვოთ განადგურების, გადაშენების და დაღუპვის გზაზე.

მსოფლიო ბირჟის მოჭახრაკეთა, კაპიტალის დიდებულთა და მათ გვირგვინოსან და არა გვირგვინოსან მმართველმა აგენტებმა ორ მოსისხლე მტრულ ბანაკათ დარაზმულებმა, რომელთაც მსოფლიოს ურთი ერთ-შორის დანაწილება უნდოდათ, არც ისურვეს და ვერც მოახერხეს, ორმოცდაორი თვის განმავლობაში უაზრო სისხლის ღვრა შეეჩერებიათ.

რუსეთის თებერვლის რევოლიუციამ, რომელმაც ძირს დაამხო და მოსპო მეფობა, მარა იმავე დროს ძალა-უფლება რუსეთის გამოტანებულ კლასების ხელში დასტოვა, ეეღარ შესძლო ბოლო მოეღო ომისთვის და საზავო მოლაპარაკებაზე მეომარნი დაეთანხმებია.

მხოლოთ ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც ძალა-უფლება კაპიტალისტებს და მემამულეთ ხელიდან გამოგლეჯა, მუშათა და გლეხთა მთავრობის დაარსებით დისაწყისი მისცა ზავისთვის ნამდვილ ბრძოლას.

მხოლოთ მუშათა და გლეხთა მთავრობამ საიდუმლო ძარცვა-გლეჯის ხელშეკრულობების გამოქვეყნებით და ზავის პატიოსანი და დემოკრატიული პირობების საჯაროთ აშკარათ წარდგენით მეტათ მაღლა ასწია ევროპის მუშათა მოძრაობა ზავის სასარგებლოთ, იძულებულ ჰყო ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტები დათანხმებულიყვნენ დროებით მორიგებაზე და მერე იმასაც მიაღწია, რომ ამ იმპერიალისტებმა ბრესტში პირობა დასდეს, ხელს იღებენ კონტრიბუციის მოთხოვნაზე და ახლაც გაშშენდენ ჯარებისგან ყველა ის ადგილებს, რომლებიც მათ ომის დროს დაიკავეს.

რუსეთის რევოლიუციამ ბრესტში, სადაც მან, როგორც მტრის, ისე რუსეთის ჯარებს ჯოჯოხეთურ ჯურღმულ—სანგრებში მომწყვდეულთ სიკვდილის საზარელი ცელი თავიდან ააშორა და რუსეთის ათასი ვერსის ფრონტზე ძმობა—ერთობის მაგალითი უჩვენა, ნათლათ დამტკიცა, რომ მის მიზანს ყველა ფრონტებზე საყოველთაო მორიგების ჩამოგდება და მერე ყველა მეომარ შორის საყოველთაო ზავის შეკვრა შეადგენს.

ბრესტში რუსეთის რევოლიუცია ყველა მეომარ ქვეყნების დაჩაგრულ ხალხის ინტერესებს იცავდა და მის მიერ აღმართული დროშა, რომელიც დღეს ბრესტში მომხდარ შეთანხმების ნიშნათ ფრიალებს ყველა მეომარ ხალხების, როგორც მოკავშირეების, ისე მოპირდაპირეების, დროშათ ხდება.

ავსტრიის, გერმანიის, ოსმალეთის და ბულგარეთის ხალხის მასსები და ჯარები საფრანგეთის, იტალიის და რუმინიის მუშები და გლეხები, როგორც დაზგებთან მდგომნი ისე სანგრებში მყოფნი“ კრებებზე და ქუჩებში აღტაცებით ეგებებიან იმ გმირულ ბრძოლაში გამარჯვებას, 8 რომელიც წილათ ხვდა რუსეთის პროლეტარულ—გლეხურ მთავრობას იმპერიალიზმის მტაცებლებთან და ბირჟის მეფეებთან შეტაკებაში.

ბრესტში მომხდარი შეთანხმება ზავის ჩამოგდებას უახლოეს დროის საკითხათ აყენებს.

მრგვალ ტანჯულ მასსას, როგორც მოკავშირეებისას და ჩვენი მოპირდაპირეებისას, ისე თვითონ რუსეთისასაც: მუშებს, სალდათებს და გლეხებს შეუძლიათ ახლა თავისუფლათ ამოისუნთქონ და იმედით და სასოებით უყურონ ახალ მომავალს.

ზავი! ზავი მოდის! ის ამოდის, როგორც ცის კიდეზე ალისფრათ შეღებილი დიადი ალიონი სოციალისტური რევოლიუციისა, ის ამოდის, როგორც მახარობელი ცისკარი განთიადისა—შრომის სრული განთავისუფლებისა.

მუშებო ჯარისკაცნო, გლეხებო, მუშა ქალებო, სალდათების ცოლებო და გლეხის ქალებო, რუსეთის ყველა მშრომელნო! შეევერთდეთ და გავიმსჭვალოთ! სიხარულისა და რწმენის ერთი გრძნობით, რომ გაიმარჯვებს ზავი და სოციალიზმი.

გამოვიდეთ ყველა, როგორც ერთი კაცი ქუჩებში და გავიკეთოთ ხალხის რევოლიუციონური მასით, რომელიც მომავალ ზავს ეგებება.

ყველა, როგორც ერთი კაცი, კვირას შემოკრებით წითელი დროშის ქვეშ და დემონსტრატიულათ განაცხადეთ თქვენი შეუდრეკელი ნება-სურვილი, რომ მოითხოვთ დაუყონებლივ სამართლიან ზავს.

თქვენ, კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის დამხობნი, გამოდით ქუჩებში, როგორც ნამდვილი პატონ-პატრონნი რევოლიუციონური რუსეთისა.

და თქვენი სოციალისტური ტყეოდროშების გამოფენით, რევოლიუციონური სიმღერების ყიჟინით, წითელ როზმების მწყობრი გამოსვლით მოუწოდეთ ჩვენს ავსტრიელ, ინგლისელ და ფრანგ ძმებს, მოუწოდეთ ყველა მშრომელთ, რომელნიც ახალი რევოლიუციონური ინტერნაციონალის შექმნისთვის იღწვიან, ყველა მშრომელთ, რომელთაც მხოლოდ მარტო შეუძლიათ მისცენ ქვეყანას მკვიდრი საერთაშორისო ზავი და უზრუნველჰყონ კიდეც იგი.

მუშებო, ჯარისკაცნო და გლეხებო! მოითხოვეთ დაუყოვნებლივი ზავი!..

ძირს სიერთაშორისო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს მეორე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელმაც ხალხთა ზავს გზა გაუხსნა!

გაუმარჯოს საყოველთაო დემოკრატიულ ზავს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას შრომისას!

ცენტრალური კომიტეტი რ. ს. დ. მ პ. (ბოლშევიკებისა).

პეტროგრადის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. და სამხედრო ორგანიზაცია ც. კ. რ. ს. დ. მ. პ.

ეს მოწოდება ზემოთ ჩამოთვლილმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა გამოსცეს 17 დეკემბერს რუსეთის სამხედროველო ცენტრებში განზრახულ დემონ-

სტრაციების გამო. სამწუხაროთ ჯერაც არ ვიცით, თუ სად როგორ ჩატარდა ეს დემონსტრაციები,

რუსეთის ქრონიკა.

ბანკების დაშორება.

14 დეკემბერს, პეტროგრადში ყველა კერძო ბანკები ჯარებმა დაიკავეს; და მთავრობამ მოსამსახურეებს კასების გასაღებები მოსთხოვა. დირექტორები, დომლებიც ამ განკარგულებას წინააღუდგენ, დატუსაღეს; ქალაქში შეაჩერეს ტელეფონ-, რომ ბანკების პატრონებისათვის მოლაპარაკების საშვალება მოესპოთ. მეორე დღეს მთავრობამ გამოაქვეყნა ორი კანონი ბანკების შესახებ. ბანკები ვარებით იმიტომ დაიკავეს, რომ ამით უნდოდათ საშუალება მოესპოთ ბანკის მართველებისთვის, რომ მათ ახალი კანონების გატარებაში წინააღმდეგობა არ დაეწყოთ და საქმისთვის ხელი არ შეეშალათ.

კანონის მიზანია ყველა კერძო ბანკები მუშათა და გლეხთა მთავრობის კანტროლ ქვეშ დააყენოს და სახელმწიფო ბანკს მჭიდროთ დაუკავშიროს.

მუშათა და გლეხთა მთავრობის პატიესცემა.

4 დეკემბერს მუშათა და გლეხთა მთავრობას გადაეცა საგანგებო შენობა, რაც მეტათ მნიშვნელოვან აქტს შეიცავს.

საბჭოთა მთავრობას პირველი პატივსაცემი საჩუქარი უძღვნა არქიტექტორმა კონდრატიევმა, რომელმაც დაუთმო მას და მის სრულ განკარგულებაში გადასცა შვენიერი ექვს სართულიანი სახლი ამ სახლს მოიხმარს სახელმწიფო შემოწყლე საქმეთა კომისია. ამ სახლში ამ წელს ბინადრობდა თურმე 1000 მდე ოჯახი. მდგომარეობს ამანო განთება (ელექტრონის) და გათბობა მუქთი აქვთ. სახლი არის სმოლნის ქუჩაზე, მუშათა უბანში. ამიერიდან ის მუშების საერთო საკუთრებათ ითვლება.

საზღვარ-გარეთ.

სხვა ბელგიელ პროლეტარიატის.

ჰოლანდიაში მცხოვრებ ბელგიელ მუშათა კავშირის ერთ გაზეთში „ბელგიელ სოციალისტში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი.

„რუსეთში დიადი მნიშვნელობის ამბები მოხდა: პროლეტარიატმა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო. ამის გამო იქაურ სოციალისტთა შორის რასკოლი მოხდა. რუსეთის პროლეტარიატმა მოწოდებით მიმართა საერთაშორისო პროლეტარიატს ჩამოაგდოს დროებითი მორიგება, რომ სამართლიანი. უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ხალხთა თვით გამორკვევის საფუძველზე შეიკრას. ფინელმა მუშებმა კიდევ თავის მხრით თავიანთ ბურჟუაზიას ძალაუფლება ჩამოართვეს.

ისინიც მსგავსათ რუსი ამხანაგებისა ომის პოლიტიკას, რასაკვირელია ზავის პოლიტიკას არჩევენ.

როგორი პოზიცია უნდა დავიკავოთ ჩვენ?

ჩვენ ესლა უბრალო მაყურებლის როლში ვერ დავრჩებით.

ბელგიის მუშათა პარტიის ტრადიციები ასეთი ღალატის ჩადენის ნებას არ მოგვცემს.

რუსეთის პროლეტარიატი მოგვიწოდებს ჩვენ საერთო ბრძოლისთვის,

მას საბუთი აქვს იქონიოს ჩვენი იმედი. ჩავდგეთ ჩვენც ვველა შეგნებულ მუშათა რაზმებში და ვიბრძოლოთ პროლეტარულ ზავის ჩამოსაგდებათ.

ბელგიის მუშათა კლასი დარჩება ერთგული თავის ტრადიციებისა თავისი რევოლიუციონერობისა და სოლიდარულ სულის კვეთებისა; ის შეიხდა, თუ რა ისტორიული მისიაა წევს მას კისრათ.

ბელგიის მუშების უმრავლესობის მდგომარეობა კრიტიკულია: ეტ ისგან დამარცხებული თავის ქვეყანაში, რომელიც მტრის ჯარებით არის დაკავებული, არ ძალუძთ ხელი გამოგვიწოდონ, მაგრამ თავით აზრითა და გრძნობებით ისინიც ჩვენთან ერთათ არიან და მათი თანაგრძნობა, იმ რევოლიუციონერების მხარეზეა, რომლებსაც ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ დროშა აღმართეს. რა შეგვიძლია ჩვენ ამ საერთო ევროპიულ ბრძოლაში? დაუყონებლივ უნდა მოვითხოვოთ ჩვენი მთავრობისაგან, რომ მან თავისი მიზნები ომში საქვეყნოთ აღიაროს და თუ არ ეს მოხერხდა, დაუღალავი ბრძოლა გავსწიოთ ანექსიის წინააღმდეგ ბელგიის მხრით.

მეორე მხრით ჩვენ მჭიდრო კავშირი უნდა დავიკავოთ ყველა ქვეყნების სოციალისტებთან, რომ ძლიერ იქნეს ყველა დაბრკოლებები, სოციალიზმის რომლები დამყარებას წინ ეღობება.

რუსეთის სოციალისტებთან ერთათ ჩვენც აღტაცებით ვიძახით გაუმარჯოს სამარადიან ზავს ყველა ხალხებისას! გაუმარჯოს სოციალიზმს!„

პროვინცია.

ოზურგეთი. პეტროგრადის 3—5 ივლისის ამბები ოზურგეთში ახლა იწყება: ადგილობრივი მენშევიკ-აბაარონცების მოღვაწეობა უმთავრესათ ბალშევიკები ლანძღვა-დევნაში გამოიხატება, ამას უკარნახებს მათ ამიერ კავკასიის საოლქო მენშევიკ ობორონცების კომიტეტი, ამასვე ეწევა მათი ორგანოები, —„ერთობა—ბარბა“. მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა—მუშათა და გლეხთა რევოლიუციის გამარჯვებამ რუსეთში, ამიერ-კავკასიის კომისარიატის შედგენამ ჩვენში და მათ ირგვლივ ატეხილმა დავამ ცეცხლზე ნავთი გადაასხა და ეს ორი მიმდინარეობა ერთი მეორეს სამკვდრო სასიცოცხლოთ დააჯახა: დამფუძნებელი კრების შესახებ იქნება კრება მოწვეული, თუ ადგილობრივი მოწვეველის, ქალაქის საბჭოსი, თუ პარტიული, მუდამ ეკრთსა და ომავეს ლეკავენ; „დაღუპეს ბალშევიკებმა ქვეყანა, პროვოკატორები, კონტრ-რევოლიუციონერები, ვილგელმის „გენტები“ და სხვა; აქ ერთმა მეთმა ღვარძლიანმა მეეორემ ისიც კი სთქვა ხალხში, რომ ფ. მახარაძემ საღდათის ტანისამოსში დადაცმულმა, ჰულემიტები მიუტანა ბალშევიკ-სალდათებსო (30 ნოემბრის ამბები თბილისში). ბალშევიკებმა ჩვენს ლიდერებს ჟორდანიას, ჯიბლაძეს და სხვებს პროვოკატორები უწოდესო, დამფუძნებელი კრება გარეკესო და სხვა. წარმოიდგინე, მკითხველო, ასეთი სურათი; ვინმე ყოვლათ უვეკი, გონება დაკარგულივით დემაგოგიურათ დაგჩხავის: —პროვოკატორებო, გამყიდველებო, კონტრ-რევოლიუციონერებოვო. რა უნდა უპასუხო ასეთ უკაცრავათ პასუხათ მოკამათეს? ლანძღვა-გინება ხომ ყველასათვის საქმე არაა და იძულებული ხდები შეუარო როგორც გიჟს. ასეთია მენშევიკ-აბაარონცების მოღვაწეობის ნიმუში. ადგილობრივი მასა თანდათან ირკვევა ძილიდგან, უკვე კრიტიკული თვალით უცქერის აბაარონცების ნაღვაწს ჩნდებიან მენშევიკებში ინტერნაციონალისტები, იზრდება სიმპატია ბალშევიზმისადმი. დამფუძნებელ კრების არჩევნებში ბალშევიკებმა მიიღეს გურიაში 600-ზე მეტი ხმა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს მათ მთელ გურიაში ორ სამ ალაგას თუ ქონდათ ორგანიზაცია მოწყობილი. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ბალშევიკების გამოსვლა ამ არჩევნებში როგორც ცალკე ორგანიზაციის გურიაში პირველია; ბევრმა ბალშევიკმა არც კი იცოდა ჩვენი ცალკე გამოსვლა და პირველ ნომერს მისცეს ხმა, ბევრმა არავის არ მისცა, როდესაც ბალშევიკების ბიულეტენი ვერ იპოვა. ამის გამო გურულ ამხანაგების წინაშე მწვავეთ სდგას ორგანიზაციის მოწყობის კითხვა. ოზურგეთის ბალშევიკურმა ჯგუფმა თავს იდო და 17 დეკემბერს, კვირას დანიშნა გურიაში მომუშავე ბალშევიკების კონფერენცია. ძარს ინდიფერენტიზმი! ძარს გაკოტრებული აბაარონცობა! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს რევოლ. ს. დ.

ხაფა.

ტყიბ. შიმოძმიდი (გურია) აქაური მშრომელ დემოკრატიას არაფითარი გაგება არ აქვს ბალშევიკებზე და ეს ხდება ადგილობრივივთ გამეფებულ მენშევიკების წყალობით. თუმცა ახლა თანდა თან იგებენ ბალშევიკებზე ამბებს, მაგრამ ისიც მენშევიკების (აქაური) დემაგოგიით შეზავებულს, რასაც გაზ. „ერთობა“ თავის „ბეჭდის დასმით“ ამოწმებს, ადასტურებს. ყველა ჯურის (მენშევიკებიან დაწყებული კონტრ-რევოლიუციონურ ეროვნულ-დემოკრატებამდე) ვითომდა ხალხის მოპირისფლენი შეერთებული ერთიანით მიდიან ბალშევიკების წინააღმდეგ. ისინი ათასგვარ ლინეს ხმარობენ, რითაც სურთ რომ ხალხმა მართალი არ გაიგოს ბალშევიკებზე და ცდილობენ ამნაირი მოტყუებით ხალხი კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში დაიბარგონ. ამითაც არ სჯერდებიან ეს ახალ „გამომცხვარი“ ხალხის „მოპირისფლენი“ და ბალშევიკურ გაზეთებს სასტიკათ სდევნიან, რომ ეს უკანასკნელი საშვალებაც თვითგამორკვევისა დაუკარგონ ხალხს.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამას მეტათ ხელს უწყობს მენშევიკების ლეიბ ორგანო „ერთობა“, რომელიც, როგორც მკითხველმა უწყის„ „ბალშევიკები „ქმბა-დიდებაში“ მეტათ დახელოვნდა და ლამის ეს საქმე ერთათ-ერთ თავის დანიშნულებად აქციოს.

ბ.ბ. „ლიდერებო“! როდემდის გნებავთ ატყუილოთ ხალხი, იჯირითოთ იმათ გაძვალტყვიებულ ზურგზე?

გახსოვდეთ, რომ სამართლე გაიმარჯვებს და თქვენი „ხალხის სასარგებლო“ საქმეების გამოაშკარავებით ხალხის მხოლოთ წყევლა-კრულვას დაიმსახურებთ ხოლმე.

ხოფლიშვილი.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ მიგვიღია ჩოხატაურის ბალშევიკების ორგანიზაციისაგან 180 მან.

განცხადება

ძ. სამტაციდიან

რ. ს. დ. მ. პ. მეუმრავლესეთა კომიტეტი ამით აცხადებს. რომ სამტრედიაში უკვე არსებობს პარტიული ორგანიზაცია მეუმრავლესეთა, პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება მორიგ წევრთან ბიუროში, რომელიც იმყოფება ოქტობერ ქვათაძის სახლში“ აკაკის ქუჩაზე. ბიუროში შეიძლება შეძენა სხვადასხვა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა. ბიურო ღიაა დილის 9—11 ს., საღ. 4—7 საათამდე.

წევრათ ჩაწერა გარდა ბიუროსა შეიძლება აგრეთვე კულაშში—ვანო სტურუასთან, მელაურში—ვალ. გეგეშიძესთან.

პროვინციალური ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! თქვენზე ირიცხება ბევრი ვალი გაზეთებისა. უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გაასწოროთ ანგარიში, წინაადმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთების გზავნა შევწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენი გამომცემლობა ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საგამომცემლო კოლეგია.

ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების ყაყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა